# ხელშეკრულება
## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N188/01/17

ქ. ბოლნისი 18 აგვისტო 2017 წელი

ერთის მხრივ **ბოლნისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის მ.შ.-ს ჯუმბერ გობეჯიშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „გევა"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ვარლამ ყურაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, N SPA170009766 გამარტივებული ელექტონული ტენედერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " ( შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. "ტექნიკური დავალება" - SPA170009766 გამარტივებული ელექტონული ტენედერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 **ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის წყალსადენის ამორტიზირებული დამწნეხი მილდენის რეაბილიტაციის სამუშაოები (CPV45232151)**

2,2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

### 3. სტანდარტები და ხარისხი

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი საამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

### 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 299999 (ორას ოთხმოცდაცხრამეტიათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3 სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა -- დანართი №1

### 5 ანგარიშწორების ფორმა და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

5.3 წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი -- არ გამოიყენება.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

5.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად (არანაკლებ 50000 ლარის შესრულებულ სამუშაოზე), ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.5 შემსრულებლის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე, ეტაპობრივი ანგარიშწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების 80%-ის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, 5.4 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

5.6. საბოლოო ანგარისწორება (სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ფარგლებში) განხორციელდება:

5.6.1 შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაციის 1,6 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში მოთხოვნილი საგარანტიო ვადის უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5,6,2 სატენდერო დოკუმენტაციის 2,9 პუნქტის 5,5 ქვეპუნქტში ასახული ან/და ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს შემთხვევაში - შემსრულებლის მიერ პირგასამტეხლოს შესაბამისი რაოდენობის თანხის გადახდიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

## 6. შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზა.

6,1 დასრულებულ (სრული შესრულებული) სამუშოებს ჩაუტარდება საინჟინრო ექსპერტიზა.

6.2 საინჟინრო ექსპერტიზას საკუთარი ხარჯებით ახორციელებს შემსრულებელი.

6.3 შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოების დასრულებიდან (სრული შესრულებული სამუშაოს აქტის (ორმხრივად ხელმოწერილი საბოლოო ფორმა N2) გაფორმებიდან) მაქსიმუმ 50 კალენდარულ დღეში შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოადგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა.

6.4 სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტს დაუდგება ვალდებულება დასკვნასთან ერთად დამატებით წარმოადგინოს დასკვნის გამცემი აკრედიტირებული პირის შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობა.

6.5 6,3 ქვეპუნქტში მოთხოვნილი ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

## 7. მიღება-ჩაბარების წესი

7,1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის (შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის) გაფორმების შემდეგ.

7,2 შესყიდვის ობიექტის ან მისი ეტაპის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ:

7.3.1 **გიორგი სიკინჭალაშვილი** -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის განყოფილების უფროსი.

7.3.2 **აკაკი მიქელაძე** -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

## 8. სამუშაოს შესრულების პირობები

8,1 სამუშაოს შესრულების ვადა – <u>ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღე. (2017 წლის 19 აგვისტოდან -- 2017 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით) სამუშოს შესრულების გეგმა-გრაფიკი -- დანართი N2</u>

შემსყიდველი

მიმწოდებელი

## 9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**9,1 შემსყიდველი ვალდებულია:**

9.1.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

9.1.2.სამუშაოების შესრულების პროცესში საქმის ყურში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

9.1.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

9.1.4.წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

**9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:**

9.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

9,2,2 ხელი მოაწეროს სამუშაოების შესრულების აქტს.

**9.3.მიმწოდებელი ვალდებულია:**

9.3.1.დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

9.3.2.საამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

9.3.3.სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

9.3.4.სამუშაოს განხორციელების პროცესში მის ჩაბარებამდე მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმების შესაბამისად მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

**9.4.მიმწოდებელს უფლება აქვს:**

9.4.1.მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

## 10. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

10.1ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

10.2ინსპექტირება გულისხმობს.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული სამუშაოს ხარისხის პროცესის კონტროლს.

10.3ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11 პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე <u>სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.</u>

11.2იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

_____ შემსყიდველი

_____ მიმწოდებელი

12.2ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12.4ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.5მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 12.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

12.6ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 13 ფორს მაჟორი

13.1ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების

13.4გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.5თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კონპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

## 14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 15. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო პირობები

15.1 შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადაა საამშენებლო სამუშაოების ჩაბარებიდან (ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან) 1 (ერთი) წელი, რომლის განმავლობაშიც შემსრულებელი ვალდებული იქნება აღმოფხვრას შესრულებულ სამუშაოზე წარმოქმნილი ყველა დეფექტი ან ნაკლი, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 20 (ოცი) კალენდარულ დღეში.

15.2 შესრულებულ სამუშაოზე შესაბამისი საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 15 კალენდარულ დღეში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოადგინოს სამუშაოს შესრულების საგარანტიო ვადის უზრუნველყოფის სანდო გარანტია,

_____ _____

შემსყიდველი მიმწოდებელი

ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს სრული ღირებულების 2,5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაც მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 14.1 პუნქტში განსაზღვრულ ვადას (დეფექტების ან/და ნაკლების პასუხისმგებლობის პერიოდი -- დასრულებულ საამშენებლო სამუშაოებზე შესაბამისი საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან ერთი წელი).

15.3 ხელშეკრულების 15.1 პუნქტში გაწერილ ვადებში (20 კალენდარულ დღე) შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 15.2 პუნქტში მოთხოვნათა შესაბამისად წარმოდგენილი საბანკო გარანტია სრულად.

15,4 თუკი ხელშეკრულების საგარანტიო პერიოდის ვადის გასვლამდე გამოვლენილი ხარვეზების შედეგად შემსყიდველს მიადგა ზარალი 2,5 %-ზე მეტი ოდნობით, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს შესაბამისი ნარჩენი ღირებულება ან აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.

## 16. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

16.1 სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის" (ს/კ 204426674) მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (საბანკო გარანტია #FG/17 016253; საგარანტიო თანხით 30000 (ოცდაათი ათასი) ლარზე), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი, მოქმედებს 2017 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

16.2ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო.

16.3იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას, ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივი დაბრუნება.

## 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს:

17,1,1,ხელშეკრულების ყველა მუხლისათვის, გარდა მე-15 მუხლისა -- 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17.1,2 ხელშეკრულების მე-15 მუხლისათვის -- 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 18. სხვა პირობები

18.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

18,2 მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18,3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მხარეთა მხრიდან მისი ხელმოწერის შემდეგ.

## 19. რეკვიზიტები

*შემსყიდველი:*

**ბოლნისის მუნიციპალიტეტი**

მის: ქ.ბოლნისი, სს ორბელიანის ქ.N 106

ს/კ 225393963

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის ნომერი GE24NB0330100200165022

მუნიციპალიტეტის გამგებლის მ.შ.

ჯუმბერ გობეჯიშვილი

*მიმწოდებელი:*

**შპს "გევა"**

ქ. ბოლნისი. ი. ცურტაველის ქ. #2

ს/კ **425357749**

სს „საქართველოს ბანკი"

ბ/კ BAGAGE22

**GE50BG0000000884229600GEL**

დირექტორი

ვარლამ ფურაშვილი